ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 81

3 აპრილი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- ირაკლი თავართქილაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. (#12-032008917-03)

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (#16-032008718-03)
3.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (#11-0120044819; 11-0120086500;11-0120090218) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-0320036114-03; #15-032008617-03;#15-032009014-03)

4.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

5.ქ.თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩის ჩიხი N16-ში (საკადასტრო კოდი: N*01.12.08.036.140*) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (#12-03200716-03)

6.„ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011*)* მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (#12-03200716-03)

7.“ქალაქ თბილისში, ლერი ლაგურაშვილის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.17.002.005.01.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.*(#12-032007657)*

8.„ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.153; N01.11.12.015.146; N01.11.12.015.147) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ *(#12-032007657)*

9. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.103.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “*(#12-032007657)*

10. “ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.033.001.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “*(#12-032007657)*

11. “ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის, 1 მიკრო/რაიონის კორპუს N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.021.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “*(#12-032007657)*

12. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.105.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (*#12-032007657)*

13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10,000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

(#12-032007242-03)

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10,000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

(#12-032009038-03)

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე
(#12-032007747-03)

16.ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/კ: 205045636) (უფლებამონაცვლე - შპს „ფიტნეს 31“ (ს/კ: 404477464) შორის 2008 წლის 18 იანვრის გაფორმებულ ,,უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში'' (სანოტარო აქტი: N245/1) ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. (#12-032007745-03)

17. ქ. თბილისში, ერწოს ქ. N15-ისმიმდებარედარსებული 2,500 კვ.მ. მიწისნაკვეთის(ს/კ: 01.12.08.010.053) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე . (12-032007725-03)

18. ქალაქთბილისში, ი.აბაშიძისქუჩა N2-20-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.114.11.031.086) პირდაპირი განკარგვის წესით მაირინე ჯიშკარიანისთვის (პ/ნ: 01009020593) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. (#12-032008610-03)

19.ქალაქთბილისში, უნივერსიტეტის ქ. N15ა-ში მდებარე 5,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.04.030.048) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (#12-03200874-03)

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს“ (ს/კ 405308135) შორის 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-441-36-23013“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე(#11-03200905-03)

21. “ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი I, კორპუსი 6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (11-032009010-03)

22. “ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (11-032009010-03)

23. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ხუდადოვი, N173-ში (საკადასტრო კოდი N01.16.09.001.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (#12-032009037-03)

24. ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მზიანისთვის“ (ს/კ: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე (12-0320090110-03)

25. ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, N1ბ/გიგო ზაზიაშვილის ქუჩა, N2-ში არსებული 112.52 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.16.02.040.002.01.507) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (#12-032009012-03)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით დღის წესრიგით წარმოდგენილი მე-17 საკითხი გადაედოთ, რასაც დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი.

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით.

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

გარდა ამისა, წინა წლების ბიუჯეტების შესრულებების ანგარიშებისგან განსხვავებით, 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში დამატებულია პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული

მაჩვენებლების გათვალისწინებით, რაც იძლევა საშუალებას შეფასდეს ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობა დაგეგმილ ბიუჯეტთან.
2019 წლიდან ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება.თბილისის ბიუჯეტის შედგენისას გენდერული ასპექტები გათვალისწინებული იქნა, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის დაგეგმვის ერთ-ერთი კომპონენტი. შესაბამისად წარმოდგენილ ანგარიშში, ზოგიერთი პროგრამისა და ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ნაწილში გათვალისწინებულია გენდერული ინდიკატორები.
2019 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 63,085.2 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის ბოლოსთვის - 220,669.0 ათასი ლარი.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 1,043,916.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1,160,126.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 111.1%.

შემოსავლები
თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1,009,839.6 ათასი ლარი, ფაქტიურად 1,101,206.0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 109% და მთლიანი - შემოსულობების 94.9% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 708,992.3 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით მიმდინარე პერიოდში 459,385.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც გამოწვეულია 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადი და გათანაბრებითი ტრანსფერი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში აღარ ირიცხება და მათ ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში ნაწილდება დამატებული ღირებულების გადასახადი, ფაქტიურად მიღებულია 497,806.5 ათასი ლარი.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 211,185.8 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 169,338.6 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 24,301.3 ათასი ლარი, მიწის გადასახადიდან - 17,545.9 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან (ფაქტი – 189,851.9 ათასი ლარი) შედარებით 21,333.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე მოდის (2018 წელი - 152,709.0 ათასი ლარი).

გრანტები
საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 151,112.1 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 645.5 ათასი ლარი (მათ შორის ევროკავშირიდან მიღებული გრანტი - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის"); სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 150,466.6 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 460.0 ათასი ლარი (გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ-ებიდან და ა(ა)იპ-ებიდან - 6.6 ათასი ლარი (ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთის ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხვა); სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 150,000.0 ათასი ლარი (მათ შორის: გზების მშენებლობა აღდგენისთვის - 10,904.8 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 5,417.8 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის - 61,850.7 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის - 471.6 ათასი ლარი,

გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაციისათვის - 1,945.5 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობისათვის (პროექტ „ახალი ტფილისის" ფარგლებში გრძელდება ორბელიანის მოედანზე და ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების და მშრალი ხიდის და მიმდებარე არეალის სარეაბილიტაციო სამუშაოები) - 50,000.0 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებებისათვის - 13,376.0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობისათვის - 6,033.7 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 200,274.8 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 241,101.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 120.4 %-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 209,919.4 ათასი ლარი) შედარებით 31,182.2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13,278.9 ათასი ლარი.

დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 44.4 ათასი ლარი. რენტის სახით მობილიზებულია 5,136.6 ათასი ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 151,430.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (142,175.0 ათასი ლარი) 106.5%-ია. მათ შორის:

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 74,044.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (74,000.0 ათასი ლარი) 100.1%-ი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 48,312.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 47,000.0 ათასი ლარის 102.8%-ია .

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 37.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (70.0 ათასი ლარი) 53.2%-ია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 13,180.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,000.0 ათასი ლარი) 131.8%-ია სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 14,752.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,850.0 ათასი ლარი) 136%-ია.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 59,281.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (40,000.0 ათასი ლარი) 148.2%-ია , რაც ძირითადად გამოწვეულია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ამოღებული ჯარიმების ზრდით (2018 წელი - 23,296.6 ათასი ლარი), მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 40,909.7 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 4,577.8 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 992.7 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 6,492.6 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 761.4 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 10,302.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,549.8 ათასი ლარი) 185.6%-ია. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 1,584.3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 57,300.2 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: 25,927.1 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 31,373.1 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 1,619.2 ათასი ლარი.

რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას პრიორიტეტების მიხედვით შესრულებულია შემდეგნაირად:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა გეგმა 271637,5 ათასი ლარი, შესრულება 191 941,1 ათასი ლარი(70,7%)

ინფრასტრუქტურისობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება- გეგმა 223 092,9 ათასი ლარი, შესრულება 218 740,1 ათასი ლარი(98,0%)

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება- გეგმა 94 943,6 ათასი ლარი, შესრულება 90 762, 8 ათასი ლარი (95,6%)

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა- გეგმა 2407,1 ათასი ლარი, შესრულება - 2 ს72, 4 ათასი ლარი (95,0 %)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებოს განვითარებაგეგმა 20 927,4 ათასი ლარი, შესრულება 20 760,4 ათასი ლარი (99,2%)

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - გეგმა 206 596,1 ათასი ლარი, შესრულება 205 328, 5 ათასი ლარი. (99,4 %)

განათლება-გეგმა 163 588,9 ათასი ლარი, შესრულება 156 392,4 ათასი ლარი (95,6 %)

კულტურა, სპორტი,ახალგაზრდობა- გეგმა 32 110, 6 ათასი ლარი, შსრულება 28 982,1 ათასი ლარი (90,3 %)

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება- გეგმა 3 884,7 ათასი ლარი, შესრულება 3 878,2 ათასი ლარი.(99,8%)

კომისიის წევრების შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტა გაიოზ თალაკვაძემ.

ოთარ გრიგოლიას შეკითხვაზე თუ რამდენი დარჩა ეკონომია 2019 წლის ბიუჯეტში, გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ეკონომია არის 40 000,0 ათასი ლარი, რომელიც არ დაიხარჯა.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განპირობებულია მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებული რესურსები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - 30 000,0 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია – 1 432,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში – 482,3 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები – 1 230,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში – 74,1 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში – 148,5 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში – 99,8 ათასი ლარი,

ჩუღურეთის რაიონში – 60,1 ათასი ლარი, ვაკის რაიონში – 22,8 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში – 18,4 ათასი ლარი, ისნის რაიონში – 96,3 ათასი ლარი, სამგორის რაიონში – 37,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში – 40,4 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში – 31,5 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა – 84,8 ათასი ლარი, იურიდიული კლინიკა – 6,0 ათასი ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა – 399,9 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები – 142,8 ათასი ლარი, ახალგაზრდულიღონისძიებების ხელშეწყობა – 42,0 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი – 2 000,0 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი – 1 585,2 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა – 140,0 ათასი ლარი. გარდა ამისა, დაემატა ახალი ქვეპროგრამა - სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა – 2 200,0 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 153 ერთეული. ასევე, დაზუსტდა პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობები. მათ შორის: იზრდება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 1 ერთეულით, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 1 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად გაიზარდა 153 ერთეულით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:
გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში - 69,8 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში – 32,9 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში – 51,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში – 43,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის – 34,2 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში – 420,9 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში – 102,2 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია – 31 000,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება – 1 865,1 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები – 9,7 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა – 106,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში - 195,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში – 152,2 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში– 348,1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში – 74,8 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში – 142,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში – 116,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში – 255,7 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში – 77,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში – 46,5 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები – 1 014,2 ათასი ლარით, თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში – 518,5 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში – 243,4 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში – 77,3 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში – 18,5 ათასილარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში – 219,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში – 292,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში – 274,9 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში – 465,1 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში – 160,4 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში – 19,6 ათასი ლარი,

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში – 497,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა – 4,2 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა – 1 111,7 ათასი ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა – 27,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის - 17,2 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია – 239,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა – 32,2 ათასი ლარით. აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურის პროექტებში ეკონომიები გამოწვეულია ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიებით, გარდა „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისა". პროგრამიდან 30 000.0 ათასი ლარი მიმართულია „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების"პროგრამაში-ახალი ავტობაზის მშენებლობისათვის.

კომისიის წევრებს შეკითხვები ქონდათ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ოთარ გრიგოლია დაინტერესედა, თუ რატომ დარჩა ტენდერებიდან ამხელა ეკონომიები, განსაკუთრებით გლდანისა და სამგორის რაიონებში, მაგალითად გლდანის რაიონში ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. „არასწორი დაგეგმვის პრობლემაა?"- იკითხა მან. გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ სრულდება ყველა ის პროექტი, რაც დაგეგმილია. რამინა ბერაძემ კი აღინიშნა, რომ ტენდერების ეკონომიების ერთერთი მიზეზი ფასთა სხვაობებია და ყველა რაიონს სხვადასხვა ფასთა სხვაობა აქვს. დაპირება იყო, რომ ტენდერების ეკონომიები ისევ რაიონების ბიუჯეტს მოხმარდებოდა, მაგრამ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე ეკონომიები მიმართულია სარეზერვო ფონდში.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (#11-0120044819; 11-0120086500;11-0120090218) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ საბურთალოსა და გლდანის რაიონის გამგეობებში რეგულარულად მიმდინარეობს „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება და რაიონებს მეორე კვარტალში სჭირდებათ თანხების დამატება. საბურთალოს რაიონს მეორე კვარტალში ემატება 1732 825 ლარი, მომდევნო კვარტლებიდან, ხოლო გლდანის რაიონს მეორე კვარტალში ემატება 850 000 ლარი,მეოთხე კვარტლიდან.გარდა ამისა ზოოლოგიური პარკის თანამშრომლებზე მარტის თვეში დღესასწაულებათან დაკავშირებით გაიცა ჯილდო,პირველ კვარტალში გათვალისწინებული თანხები არ ყოფნით და შრომის ანაზღაურების მუხლში ემატებათ 11850 ლარი, რომლის დაბალანსებაც ხდება „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობებისგამაგრება-გაძლიერების" პროგრამაში პირველკვარტალში ტენდერებიდან მიღებული ეკონომიების ხარჯზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს და გლდანის რაიონის გამგეობები და ზოოლოგიური პარკი ითხოვენ ცვლილებას მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილებისდანართი1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით, სააგენტოს ეყოლება 2 მოადგილე, ნაცვლად ერთისა, რომლებიც ამავდროულად იქნებიან სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსები. სულ იქნება 3 სტრუქტურული ქვედანაყოფი,ნაცვლად ოთხისა . დღეს არსებული საინვესტიციო პროექტების განვითარების სამმართველო შედის იურიდიულ სამსახურში, რომელსაცეცვლება სახელი და იქნება“იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახური“.

კომისიის წევრების შეკითხვაზე - იცვლება თუ არა სააგენტოს საშტატო ნუსხა, ირაკლი თავართქილაძემ განმარტა რომ საშტატო ნუსხის ცვლილება არ ხდება.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩის ჩიხი N16-ში (საკადასტრო კოდი: N*01.12.08.036.140*) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“
ირაკლი თავართქილაძის თქმით, 3 ოჯახს, რომლების აღნიშნულ მისამართზეცხოვრობენ 2002 წლიდან გადაეცემათ ფართები. თინათინ ხუროშვილს 47,20 კვმ; ნოდარ წერეთელს -73,40 კვმ; მანანა წერეთელს - 42, 90 კვმ საცხოვრებელი ფართი.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ თინათინ ხუროშვილი 2010 წელს დაკმაყოფილდა, როგორც „კოოპერატიული ბინათმშენებლობით“ დაზარალებული პირი, მას გადაეცა 100 კვმ მიწის ნაკვეთი, ხოლო მანანა წერეთელს საჯარო რეეტრის მინაცემებით უფიქსირდებოდა 36,14 კვმ (საკ|კოდი: 01.12.08.036.140.01.509. ირაკლი თავართქილაძემ დამატებით განმარტა, რომ მოქალაქეები თორნიკე ერისთავის ქუჩის ჩიხი N16-ში ცხოვრობენ 2002 წლიდან და დღეის მდგომარეობით მათ სხვა ქონება არ უფიქსირდებათ.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N*01.19.23.002.011*) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში, 20 მოქალაქეს (თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება #20.254.320) სიმბოლურ ფასად გადაეცემათ ფართები. ამ შემთხვევაშიც ზოგიერთ მათგანს გასხვისებული აქვს საცხოვრებელი ფართი. ირაკლი თავართქილაძის თქმით ამ ეტაპზე მათ სხვა ქონება არ უფიქსირდებათ.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, ლერი ლაგურაშვილის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.17.002.005.01.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, ნანი გოგატაშვილს სიმბოლურ ფასად გადაეცემა, ლერი ლაგურაშვილის ქუჩა N3-ში 36,06 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1993 წლიდან, არის II ჯგუფის ინვალიდი. წარმოდგენილია გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.153; N01.11.12.015.146; N01.11.12.015.147) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის თქმით 10 ოჯახს, მარატ ნოზაძის ქუჩა N16-ში სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთოჯამში 661,90 კვმ საცხოვრებელი ფართი. ეს ოჯახები აღნიშნულ ფართში ცხოვრობენ 2002-2011 წლებიდან, ხოლო თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ოქმის მიხედვით მოქალაქეები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 10 წელი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.103.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით ხათუნა ღამბაშიძეს, სიმბოლურ ფასად გადაეცემა სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში მდებარე 119,32 კვმ საცხოვრებელი ფართი.მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 30 წელი. საჯარო რეესტრის მონაცემებით მას სხვა ქონება არ უფიქსირდება,

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.033.001.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, მოქალაქე გიორგი ბასილაშვილს, რომელიც არის 6 სულიანი ოჯახი და აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1988 წლიდან, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 30,20 კვმ საცხოვრებელი ფართი.საჯარო რეესტრის მონაცემებით მას სხვა ოქნება არ უფიქსირდება.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის, 1 მიკრო/რაიონის კორპუს N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.021.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ლიანა ჩხარტიშვილს სიმბოლურ ფასად გადაეცემა ვარკეთილი-3-ის, 1 მიკრო/რაიონის კორპუს N7ა-ში, 29,08 კვმ ფართი.მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან. წარმოდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა და შსს წერილი ცხვორების ფაქტთან დაკავშირებით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.105.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის თქმით, ოთარ ბაჩარაშვილს სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N11-ში მდებარე 32.33 კვმ გადაეცემა სიმბოლურ ფასად 1 ლარად. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 30 წელი. წარმოდგენილია მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის და შსს წერილი ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით. მოქალაქეს საჯარო რეესტრის მონაცემებით სხვა ქონება არ უფიქსირდება.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა. (#12-032007242-03)

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10,000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, სამგორის რაიონში არსებული 10,000 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცემა 23 პირს, აქედან ოთხი არის ინდივიდუალური მეწარმე, ხუთი შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება. ამ ადამიანებს თვითნებურად ქონდათ დაკავებული ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები, სადაც ახორციელებდნენ სამეწარმეო საქმიანობას. მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მათ გადასცეს ალტერნატიული ფართები. მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით და ყველა საჭირო კომუნიკაციით. ხელშეკრულების ერთერთი პუნქტის შესაბამისად მათ განესაზღვრათ კონკრეტული ვადები დაკავებული მიწის ნაკვეთების განთავისუფლებასთან დაკავშირებით.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მომდევნო საკითხი ფაქტიურად ამ საკითხს მოიცავს. მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, შეიცვალა ხელშკრულებაში ვადები მიწის ნაკვეთების განთავისუფლებათან დაკავშირებით და განუსაზღვრა „2020 წლის 26 აგვისტო"

ორივე საკითხს კენჭი უყარეს ცალ-ცალკე.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10,000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (#12-032009038-03)

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე.
ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცემა გარკვეული მოძრავი ქონება, ეს არის საბავშვო ინვენტარი (ატრაქციონები და საქანელები), რომელიც ჩამოწერილია . საპატრიარქო მას გადასცემს ქარელში, დედათა მონასტერთან არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 15 ბავშვისთვის. საერთო ჯამში მათი ღირებულებაა 28000 ლარი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს" (ს/კ: 205045636) (უფლებამონაცვლე - შპს „ფიტნეს 31" (ს/კ: 404477464) შორის 2008 წლის 18 იანვრის გაფორმებულ ,,უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში'' (სანოტარო აქტი: N245/1) ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ თვითმმართველსა და შპს „სასკოს“ შორის დადებული ხელშეკრულებისა და ხელშეკრულებაში ცვლილებების თანახმად, მყიდველს განესაზღვრა რიგი საინვესტიციო ვალდებულებების, „თბილავიამშენის“ მიმდებარედ არსებულ 600 კვმ (საკ|კოდი: 01.10.35.007.007) და ბ.ხმელნიცკის #181-ში მდებარე 4514 კვმ (საკ|კოდი: 01.19.35.007.008) ობიექტების აღჭურვა-რეაბილიტაცია და სპორტული პროფილის შენარჩუნება 10 წლით.

წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც ბ.ხმელნიცკის #181-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე შენარჩუნებულია სპორტული პროფილი 2019 წლის 18 სექტემბერს მყიდველმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომ დაევალებინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოსათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებების დადასტურებასა და უძრავ ქონებაზე შეზღუდვის მოხსნის თაობაზე გამოეცა ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი . თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულებები შესრულებულია დარღვევით. შპს „ფიტნეს 31“-მა წარმოადგინა წინადადება საკ|კოდი : 01.19.35.007.113 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის მოხსნისა და სამ საკადასტრო ერთეულზე დამატებით 300 000 ლარის ინვესტიციის განხორციელებისა და სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ინტერესს წარმოადგენს მიწის ნაკვეთებზე არსებული სპორტული კომპლექსების განვითარება და დამატებითი ინფრასტრუქტურით აღჭურვა და სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნებაც, მიზანშეწონილია ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებები შეტანა. მყიდველს საინვესტიციო ვალდებულებად განესაზღვრა დამატებით 300 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება და სპორტული პროფილის შენარჩუნება მუდმივად. ამავე დროს შეთანხმებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიმართის საქალაქო სასამართლოს მიმდინარე დავის შეწყვეტასა და სარჩელზე უარის თქმის განცხადებით,რის საფუძველზეც გამოცემული იქნება სასამართლო განჩინება.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N2-20-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.114.11.031.086) პირდაპირი განკარგვის წესით მაირინე ჯიშკარიანისთვის (პ/ნ: 01009020593) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, მოქალაქე მარინე ჯიშკარიანს ი.აბაშიძის ქუჩა N2-20-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცემა სარგებლობის უფლებით, იჯარით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადაა 5 წელი. წლიური საიჯარო ქირა 2350 ლარი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N15ა-ში მდებარე 5,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.04.030.048) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ შპს „ნინა“ და შპს „სუბიექტი“ ითხოვენ თვითმმართველის მიერ გამოცხადებულ აუქციონზე შეძენილი მიწის ნაკვეთების (შპს „ნინა“ -1010 კვმ(ს|კ: 01.10.16.004.222) და შპს „სუბიექტი“ -1500 კვმ (ს|კ:01.10.16.004.223)) ადგილმონაცვლეობას. როგორც კომპანიები განმარტავენ მიწის ნაკვეთები შეძენილი იქნა სამშენებლოდ განვითარებისათვის, რაზედაც გაცემულია ბრძანება არქიტექტურის სამსახურის მიერ. ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ კომპანიებმა გაითვალისწინეს მერიის პოზიცია მდ.ვერეს ხეობაში მშენებლობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რომ მიწის ნაკვეთებზე მოსალოდნელია გარკვეული რისკები და მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების თვითმმართველის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ მოითხოვეს უნივერსიტეტის ქ. N15ა-ში მდებარე 5,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნით, ს|კ: 01.10.16.004.222-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეფასდა 624 180 ლარად, ს|კ:01.10.16.004.223 -ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეფასდა 915 500 ლარად, ხოლო უნივერსიტეტის ქ. N15ა-ში მდებარე 5,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.14.04.030.048) შეფასებულია 1885 377 ლარად. კომპანიები იხდიან ფასთა შორის სხვაობას 351 000 ლარს.

აზრი გამოთქვეს: ოთარ გრიგოლიამ, ვახტანგ შაქარიშვილმა, ირაკლი ზარქუამ, დავით უთმელიძემ.

ვახტანგ შაქარიშვილს არ მიაჩნია მიზანშეწონილად მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა, ვინაიდან უნივერსიტეტის ქუჩაზე დაგეგმილია სპორტის სხვადასხვა სახეობათა ფედერაციების განვითარება და მიზანშეწონილი იქნებოდა მიწის ნაკვეთის განკარგვა მოხდეს ამ მიმართულებით. მომავალი ოლიმპიადის დროს სპორტის სასახლის მახლობლად სასტუმროების და რესტორნების მშენებლობა შეიძლება არაეთიკური აღმოჩნდეს.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტისათვის მეტად მნიშვნელოვანია, დატბორვის ზონაში არ განხორციელდეს მშენებლობა, ასევე კერძო საკუთრების უფლება შიძლება ხელისშემშლელი იყოს სტიქიური რისკის არელში მოქცეულ ტერიტორიაზე საჭირო გადაწყვეტილებების მიღებისას.

მომხრე-7, წინააღმდეგი- ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს“ (ს/კ 405308135) შორის 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-441-36-23013“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს“ შორის გაფორმებულ აუქციონის ხელშეკრულებაში უქმდება ერთ-ერთი პუნქტი „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“. აღნიშნული მიწის ნაკვეთი,(1023 კვმ მიწის ნაკვეთი, მდებარე ტაბახმელაში) კომპანიამ აუქციონზე შეიძინა 84358 ლარად. კომპანიას მიღებული აქვს მშენებლობის ნებართვა. სსიპ ქონების მართვის სააგენტომ მისწერა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს კითხვით, შეიცვლებოდა თუ არა ნაკვეთის ღირებულება, რომ შეზღუდვა არ ყოფილიყო, რაზედაც მიიღეს პასუხი, რომ ღირებულება არ შეიცვლებოდა.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი I, კორპუსი 6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

ირაკლი თავართქილაძის თქმით, მოქალაქე ლოლა მჭედლიძეს, რომელიც 1998 წლიდან ცხოვრობს თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი I, კორპუსი 6-ში, სიმოლურ ფასად გადაეცემა 32,99 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქეს საჯარო რეესტრის მონაცემებით თბილისში სხვა ქონება არ უფიქსირდება.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, როინ ბახტურიძეს გადაეცემა **90,64კვმ ფართი** შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 15 წელი. საჯარო რეესტრის მონაცემებით თბილისში სხვა ქონება არ უფიქსირდება.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქუჩა ხუდადოვი, N173-ში (საკადასტრო კოდი N01.16.09.001.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქუჩა ხუდადოვი, N173-ში 4 ოჯახს სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 222,42 კვმ საცხოვრებელი ფართი.მოქალაქეები აქ ცხვოვრობენ 1993-96-2001 წლებიდან. წარმოდგენილია ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა და ცხოვრების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირი „მზიანისთვის“ (ს/კ: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე არსებული 461 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა 2018 წელს 2 წლის ვადით გადაეცა (არაკომერციული) იურიდიული პირს „მზიანი“, რომელსაც უნდა შეესრულებინა გარკვეული ვალდებულებები.(ბრაილის შრიფტის გამოყენება; შშმ პირების დასაქმება, საბავშვო ახალგაზრდული საქველმოქმედო ღონისძიებების (წელიწადში მინიმუმ 75 ღონისძიება) ჩატარება). კომპანიამ წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული ვალდებულებების შესახებ. ამჟამად გადავცემთ 2 წლით უსასყიდლო უზურფრუქტით.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, N1ბ/გიგო ზაზიაშვილის ქუჩა, N2-ში არსებული 112.52 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.16.02.040.002.01.507) გაცვლის ფორმით პრივატიზებისსაკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, შპს „ახალი ვარსკვლავი“ ითხოვს მის საკუთრებაში არსებული გიორგი ჩიტაიას|ანაკლიის 1-ში მდებარე 153კვმ მიწის (საკ|კოდი: 01.16.06.005.001.01.515) თვითმმართველის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ცოტნე დადიანის ქუჩა, N1ბ/გიგო ზაზიაშვილის ქუჩა, N2-ში არსებული 112.52 კვ.მ უძრავი ქონების კომპანიისთვის გადაცემას. აღნიშნულ კოდზე აპირებენ მშენებლობას, რასიდაც ხელს უშლით თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონება,სადაცგანთავსებულია მუნიციპალური სერვისების მომსახურების ცენტრი, თუმცა მუნიციპალური სერვისების სააგენტო აღნიშნავს, რომ მოქალაქეთა მომსახურებისათვის უკეთესია **(საკ|კოდი:** 01.16.06.005.001.01.515-ით რეგისტრირებული ქონება. ვინაიდან აღნიშნული ქონების ღირებულება ექსპერტიზის დასკვნით, უფრო მეტია, ვიდრე თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონება, კომპანია თანხას არ იხდის.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია